წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 დეკემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 58

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის N20 დადგენილების დანართის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა თანახმად დანართისა;

2.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე ;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილის წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია

დანართი

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

# 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ ლოკალიზაციის განსახორციელებლად.

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

## 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიმართულებები

1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება;
2. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემთა ბაზის სრულყოფა/მუდმივი განახლება;
3. გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემუშავება;
4. გამყოფი ხაზის მიმდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში კონფლიქტის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების ჩატარება;
5. გენდერული მიმართულებების დანერგვა -განხორციელება;
6. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე.
7. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისათვის სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა.
8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებინფორმაციის მიწოდება, პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;
9. ადგილობრივი თანამშრომლობის გაღრმავება რეფერალური მექანიზმის სუბიექტებთან ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის პრევენციისთვის;
10. ბულინგის პრევენცია საბავშვო ბაღებსა და სკოლებში (მათ შორის იგპ თემასთან დაკავშირებით)
11. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა (მათ შორის შშმ პირები) და ახალგაზრდების ( მათ შორის შშმ პირების) მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა კონფლიქტის პრევენციის, მართვის და გადაჭრის საკითხებზე;
12. გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება;
13. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციის მიზნით თემის ადგილობრივი საჭიროებების უზრუნველყოფა;

14. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
15. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება.

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება. | 1.1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება; | 1.1.1 სამოქმედო გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომობა; გეგმის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშები | გენდერული თანასწორობის საბჭო; | 2023-2024 წწ |
| | 1.2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის გამოყოფილ ონლაინ სივრცეში გენდერული საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციების და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმების, გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა | 1.2.1 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის გამოყოფილ ონლაინ სივრცეში გენდერული საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევები, პუბლიკაციები და ანალიტიკური მასალა | მუნიციპალიტეტის მერია | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1.3 კოორდინირებული მუშაობა საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. | 1.1.3 საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოში გაგზავნილი წინადადებები და მათგან მიღებული და გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა;<br>1.1.3 თანამშრომლობა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიღებული და გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა | | |
| 2. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემთა ბაზის სრულყოფა/მუდმივი განახლება; | 2. 1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ შშმ პირთა, სოციალურად დაუცველთა, გამყოფ ხაზთან და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის პერიოდული განახლება | 2.1.1<br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შექმნილი რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ შშმ პირთა, დევნილთა, სოციალურად დაუცველთა, გამყოფ ხაზთან მცხოვრებთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ერთიანი განახლებული საინფორმაციო ბაზა<br>2.1.2 მუნიციპალური პროგრამებში, ასახული გამოვლენილი საჭიროებების რაოდენობა; | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 2023-2024 წწ |
| 3. გენდერზე ორიენტირებული | 3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მუნიციპალური პროგრამების ანალიზი და | 3.1.1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის / | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემუშავება; | წინადადებების შემუშავება პრობლემური საკითხების წარმოსაჩენად;<br><br>3.2. გენდერული ნიშნით წარმატებული მუნიციპალური პროგრამების წარმოჩენა<br><br>3.3 ბიუჯეტის პროექტის მომზადების გამჭვირვალობასა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა | პროგრამების ჩატარებული გენდერული ანალიზი;<br><br>3.2.1 გენდერული ნიშნით წარმატებული მუნიციპალური პროგრამების რაოდენობა<br><br>3.3.1 ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოვლენილი და გათვალისწინებული ინიციატივების რაოდენობა;<br>3.3.2 ჩატარებული შხვედრების ოქმები და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 2023-2024 წწ |
| 4. გამყოფი ხაზის მიმდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში კონფლიქტის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების ჩატარება; | 4.1 კონფლიქტის პრევენციის მიზნით მოსახლეობასთან მონაწილეობითი შეხვედრების ჩატარება;<br><br>4.2 სოციალური დიალოგისთვის იგპ და ადგილობრივი თემის ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება, საოციალური კონფლიქტების იდენტიფიცირება. | 4.1.1. ჯგუფების მიერ მართული თემში გამოვლენილი სოციალური კონფლიქტების რაოდენობა<br><br>4.2.1 კონფლიქტის პრევენციის მიზნით მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა | სამუშაო ჯგუფი | 2023-2024 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | | |
| 5.გენდერული მიმართულებების დანერგვა - განხორციელება | 5.1 ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილებების შეტანა, მათ შორის პერსონალის შერჩევის, შეფასებისა და სამსახურში მიღების დროს ანტიდისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფის კუთხით; | 5.1.1 შექმნილია საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზა და ხდება მისი პერიოდული განახლება<br>5.1.2 შეტანილი ცვლილებები პოლიტიკურ დოკუმენტში , საშტატო ნუსხასა და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში<br>5.1.3 ბრძანება, სადაც გენდერზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია საკონკურსო კომისიის წევრად | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | 2023 წლის IV კვარტალი<br><br>2024 წლის IV კვარტალი |
| 6.კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე. | 6.1 საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, გოგოებთან და მათი ოჯახის წევრებთან. | 6.1.1 მუნიციპალიტეტის მასშტაბით, წლის განმავლობაში ჩატარებული არანაკლებ 2 შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობასთან და სოციალური რეაბილიტაციის შესახებ შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაცია | 2023-2024 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6.2 დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებების კვლევა, მათ შორის ძალადობის საკითხებზე<br><br>6.3 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებისა და გოგოებისთვის უსაფრთხოების საკითხებზე პოლიციასა და სპეციალურ ქვედანაყოფებთანშეხვედრების ჩატარება. | 6.2.1 საჭიროებათა კვლევის ანგარიში, გეოგრაფიული დაფარვის მითითებით.<br><br>6.3.1 ქალებისა და გოგოების უსაფრთხოების საკითხებზე ჩატარებული წელიწადში არანაკლებ ორი შეხვედრა, შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | | |
| 7. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისათვის სამოქალაქო სერვისებზე | 7.1 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში „მობილური იუსტიციის სახლის" პროექტის განხორციელება<br><br>7.2 უფასო საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. | 7.1.1 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში „მობილური იუსტიციის სახლის" მომსახურების მიღება მინიმუმ თვეში ერთხელ;<br><br>7.2.1 წელიწადში არანაკლებ ორი ჩატარებული შეხვედრა, შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია | 2023-2024 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წვდომის უზრუნველყოფა. | | | | |
| 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებინფორმაციის მიწოდება, პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა; | 8.1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად არაფორმალური ლიდერ ქალთა გამოვლენა (მათ შორის გამყოფ ხაზთან მდებარე ადმინისტრაციებში)<br><br>8.2 გამოცდილების გაზიარებისათვის წარმატებულ მეწარმე ქალბთან შეხვედრების ორგანიზება , ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით; | 8.1.1 ლიდერ ქალთა გამოსავლენად ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br><br>8.1.2 გამოვლენილი ლიდერი ქალები<br><br>8.2.1 ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა;<br><br>8.2.2 ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 2023-2024 წწ |
| 9. ადგილობრივი თანამშრომლობის გაღრმავება რეფერალური მექანიზმის სუბიექტებთან ქალებისა და გოგონების მიმართ | 9.1 რისკ ჯგუფიში მყოფი ოჯახების გამოვლენა და მათი მხარდაჭერა; | 9.1.1 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 2023-2024 წლის განმავლობაში<br><br>გენდერული ძალადობის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძალადობის პრევენციისთვის; | 9.2 სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება | 9.2.1.16-დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმის შემუშავება;<br><br>9.2.2 კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა (ფოტო, ვიდეო მასალა განთავსებულია ვებ.გვერდზე); | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში |
| 10. ბულინგის პრევენცია საბავშვო ბაღებსა და სკოლებში (მათ შორის იგპ თემასთან დაკავშირებით) | 10.1 ბაღების პერსონალთან და მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება; | 10.1.1 ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა(დამადასტურებელი მასალა: ოქმი, ფოტოები) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | 2023-2024 წწ |
| 11. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა (მათ შორის შშმ პირები) და ახალგაზრდების ( მათ შორის შშმ პირების) მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა კონფლიქტის პრევენციის, მართვის და გადაჭრის საკითხებზე; | 11. 1. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში და დევნილთა დასახლებებში საჭიროებათა კვლევის ჩატარება, მონაცემთა ბაზის შექმნა.<br><br>11.2. ცნობადობის ამაღლება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან მერიისა და გენდერული საბჭოს წარმომადგენლებთან; | 11.1.1.სამიზნე ჯგუფების საჭიროებები ასახულია ადგილობრივ დოკუმენტებში/კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა, გამოვლენილი საჭიროებების რაოდენობა<br><br>11.2.1. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | 2023-2024 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11.3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და დევნილთა ჩასახლებებში შეხვედრების ჩატარება ახალგაზრდებთან (მათ შორის შშმ პირები) იგპ და გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობასთან (მათ შორის შშმ პირები)<br><br>11.4. კონფლიქტის ადრეული გამოვლენის და მისი პრევენციის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების გატარება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში | 11.3.1 ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, გამოვლენილისაჭიროებების რაოდენობა შეხვედრების ოქმებისა და მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) გამოვლენილი საჭიროებების რაოდენობა;<br><br>11.4.1. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, გამოვლენილი საჭიროებების რაოდენობა<br>11.4.2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები და დევნილთა ჩასახლებები/ჯგუფების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების რაოდენობა | | |
| 12. გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება; | 12.1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და გენდერულ საკითხებზე გამოყოფილი/დანიშნული პასუხისმგებელი პირებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება. | 12.1.1 ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცლები (სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების მითითებით) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაცია | 2023-2024 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციის მიზნით თემის ადგილობრივი საჭიროებების უზრუნველყოფა; | 13.1 გენდერული თანასწორობის გეგმაში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის პრინციპების გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკურ დოკუმენტებში იგპ ჯგუფების თემატიკისა და საჭიროებების ასახვა | 13.1.1. პრიორიტეტების დოკუმენტში, ბიუჯეტის ტექსტში ასახული იგპ და სხვა ჯგუფების პრიორიტეტული საკითხების რაოდენობა. | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაცია | 2023-2024 წწ |
| 14. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო | 14.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეხვედრების ჩატარება;<br><br>14.2 სამეწარმეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული შეხვედრების ჩატარება დევნილი ქალებისთვის. | 14.1.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და ახალგაზრდებთან წელიწადში მინიმუმ ორი საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება (ჩატარებული შეხვედრის დამადასტურებელი მასალა: ოქმი, ფოტო)<br><br>14.2.1 სამეწარმეო და ბიზნეს უნარ-ჩვევების გადამზადების მიზნით წელიწადში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარება (ჩატარებული შეხვედრის დამადასტურებელი მასალა: ოქმი, ფოტო) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | 2023-2024 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამებში ჩართულობის უზრუნველყოფა. | 14.3 შემოქმედებითი პროექტებისა და ღონისძიებების ჩატარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის და.ან მათი მონაწილეობით<br><br>14.4 მიზნობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდებისთვის | 14.3.1 წელიწადში ჩატარებული მინიმუმ ორი ღონისძიება (ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტო მასალა)<br><br>14.4.1დევნილთა ჩასახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში წელიწადში არანაკლებ ორი სპორტული ღონისძიების ჩატარება (ჩატარებული ღონისძიების დამადასტურებელი მასალა) | არასამთავრობო ორგანიზაცია | |
| 15. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება; | 15.1 სამოქმედო გეგმის კვარტალური მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება. | 15.1.1 სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | 2023-2024 წწ |